ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 აგვისტოს ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 17 აგვისტოს სხდომის

ო ქ მ ი № 18

დ. ხარაგაული 17 აგვისტო 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - **მანანა ბარბაქაძე** - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მალხაზი ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მრეწველები“ - ს“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მწვანეები“ - ს“ თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა -ძალა ერთობაშია “ - ს“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „ თვითმმართველობა ხალხისათვის“ - თავმჯდომარე,

მერიის წარმომადგენლები:

კახაბერ გოლუბიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

გიორგი ჭყოიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ნ. კაპანაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

ე. შავიძე- ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“

დირექტორი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

საკითხებში,

ზ. ორბელაძე- საკრებულოს აპარატის იურისტი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს

გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სეტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

   მომხს: გიორგი ჭყოიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

   მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით

   მომხს: აფრასიონ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის

დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა,

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

უფროსის გიორგი ჭყოიძის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს, გასულ წელს თქვენს მიერ შემოწმების შედეგად აღმოჩენილ დარღვევებზე გატარდა თუ არა მერიის მხრიდან რაიმე ღონისძიება დამრღვევთა მიმართ და თქვენ ითხოვდით თუ არა რეაგირებას.

გ. ჭყოიძე - როდესაც ვირჩევთ შესამოწმებელ ობიექტს ჩვენ რა თქმა უნდა წინასწარ გავდივართ კონსულტაციებს ხელმძღვანელთან, ჩვენ რაც შეგვიძლია გავაკეთოთ ანგარიშშია ასახული, თუ დანაშაული არსებითია აქ გადაწყვეტილების მიმღები პირია მერი და გადაწყვეტილების მიღება ჩვენს კომპეტენციას არ განეკუთვნება. რისკების დადგენის მიზნით პირველად ვაწარმოებთ გასაუბრებას და შემდეგ დგება გასაუბრების გეგმა.

ი. მაღრაძე - ერთ-ერთი ა.ა.ი.პ. ხელმძღვანელის გათავისუფლება მოხდა , აქ დასაქმებული საკმაოდ კვალიფიციური იურისტის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა ინფორმაცია ამ დაწესებულებაში არსებულ დარღვევებზე, თქვენ თუ ახდენთ ამ ფაქტის შესწავლას.

გ. ჭყოიძე -დარღვევის გამო განთავისუფლდა ა. ა. ი.პ . -ის ხელმძღვანელი, ჩვენ ამ ობიექტის შემოწმება სექტემბერში გვაქვს დაგეგმილი, თუ რაიმე ინფორმაცია შემოწმების მომენტისათვის ჩვენთვის გახდება ცნობილი, წერილობით თუ სიტყვიერი ინფორმაციის საშუალებით ჩვენ დოკუმენტებზე დაყრდნობით შევისწავლით საკითხს და დავდებთ შესაბამის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგში.
2. საკითხის განხილვა დაევალა კომისიებს.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა დასვა შეკითხვა რატომ დაინიშნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მერის წარმომადგენლები, რომლებიც თავის დროზე დაინიშნენ კონკურსით.

კ. გოლუბიანი - როგორც მოგეხსენებათ ცვლილება შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში და ამის საფუძველზე მოხდა მათი გადანიშვნა.

დაკავშირებით, გაითვალისწინეთ თუ არ და მაინტერესებს მერის სამართლებრივ აქტებზე თუ არსებობს იურიდიული განყოფილების დასკვნები, მხედველობაში მაქვს წაგებული სასამართლო დავები,

კ. გოლუბიანმა- აუდიტის დასკვნის შემდეგ ის რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა ასევე ყველა სამართლებრივ აქტს უტარდება იურიდიული ექსპერტიზა და მათი ვიზის გარეშე არ გადიან.

ი. კელენჯერიძემ - რა ვაკანსიებზე გამოაცხადეთ კონკურსი

კ. გოლუბიანმა - შესყიდვები განყოფილების თანამდებობაზე გვქონდა დახურული კონკურსი გამოცხადებული, გამარჯვებული ვერ გამოვლინდა და ამჟამად ღია კონკურსი ცხადდება, გვაქვს ვაკანსიები ბავშვთა დაცვის კუთხით თანამშრომლებზე მაგრამ ჯერ უნდა მოხდეს მერიის დებულებისა და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებში ცვლილება.

მ. ბარბაქაძემ - სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მოვითხოვეთ ინფორმაცია,

კ. გოლუბიანმა - უპასუხა, რომ მიმდინარეობს ინფორმაცია და პასუხს მოგაწვდით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალოს კომისიებს.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ - დასვა წინადადება სოფლის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების დაფინანსების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლის გივი კურტანიძის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალოს კომისიებს.

საკრებულოს 07 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე ბიუროს წევრმა ვარლამ ჭიპაშვილმა სხდომის თავმჯდომარის წინაშე დააყენა წინადადება 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილიყო გადადებული საკითხები მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშები

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასახელებული საკითხების 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალოს კომისიებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: გიორგი ჭყოიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ზურაბ ბანცაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით

მომხს: ზურაბ ბანცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**